მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲜᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲐᲠᲘᲚᲘ
ᲜᲘᲡᲐᲜᲘ
№4 (427)
(5777)
2017

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

მოგილოცავთ ფესახს - გამოვდივართ ტყვეობის სახლიდან, მივდივართ აღთქმული მიწისაკენ!

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრი „ხესედ ელიაჰუ“ 20 წლისაა

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრის დირექტორი ღირსების ორდენით დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს ებრაული თემისადმი განსაკუთრებული დამსახურებისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში შეტანილი მრავალწლიანი წვლილისათვის, საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრის, „ხესედ ელიაჰუს” დირექტორი და თბილისის ებრაელთა სათემო სახლის ორგანიზაციების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე რევაზ შათაშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა.

საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო რევაზ შათაშვილს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა, გიორგი აბაშიშვილმა გადასცა.

საიუბილეო საღამო

3 მარტს საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრს „ხესედი ელიაჰუ“ დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. ამ თარიღს მიეძღვნა საზეიმო საღამო, რომელიც ებრაულ სათემო სახლში 7 მარტს გაიმართა. საღამოს ესწრებოდნენ ისრაელის ელჩი საქართველოში ბატონი შაბთაი ცური, ხესედის, „ჯოინთისა“ და ებრაული სახლის თანამშრომლები, ებრაული თემის წარმომადგენლები, საპატიო სტუმრები, მეცენატები, „ხესედი ელიაჰუ“-ს მეგობრები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები. საღამოზე ყველასათვის მოულოდნელი, ძალზედ სასიამოვნო და სასიხარულო სიურპრიზი იყო ის, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს ებრაული თემისადმი განსაკუთრებული დამსახურებისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში შეტანილი მრავალწლიანი წვლილისათვის, საქართველოს ებრაელთა საქველმოქმედო ცენტრის „ხესედი ელიაჰუ“ დირექტორი და თბილისის ებრაელთა სათემო სახლის ორგანიზაციების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე რევაზ შათაშვილი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი აბაშიშვილმა საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო ბატონ რევაზ შათაშვილს, პრეზიდენტის მილოცვასთან ერთად პირადად გადასცა.

ამის შემდეგ ხესედს იუბილე მიულოცეს: ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის „ჯოინთი“-ს წარმომადგენელმა ბატონმა ზოჰარ დავიდმა, რომელმაც ხესედს მრავალი წლის ღირსეული საქმიანობისთვის საჩუქრად გადასცა მადლობის სიგელი და სურათი იერუსალიმის არაჩვეულებრივი ხედებით. ისრაელის ელჩმა საქართველოში ბატონმა შაბთაი ცურმა ბატონი რევაზ შათაშვილი დააჯილდოვა საპატიო სიგელით, სადაც აღნიშნულია, რომ ხესედის საქმიანობის მე-20 წლისთავთან დაკავშირებით „ხესედი ელიაჰუ“- ს დირექტორი ჯილდოვდება საელჩოს საპატიო სიგელით. წაიკითხეს იერუსალიმის „ჯოინთი“-ს ოფისის ხელმძღვანელის ოქსანა გალკევიჩის მილოცვა. იგი წერს რომ, “Высочайший профессионализм сотрудников и глубокая преданность делу волонтёров делают Ваш Хэсэд примером для поддержания и вызывают искреннее восхищение.”

შემდეგ ნაჩვენები იქნა დაარსებიდან დღემდე ხესედის საქმიანობის შესახებ ვიდეო რგოლები, რომელიც მიდიოდა ბატონ რევაზ შათაშვილის კომენტარებით.

ხესედს იუბილე მიულოცეს და შემდგომში კვლავ წარმატებული საქმიანობა უსურვეს ებრაული თემის წარმომადგენლებმა, რომლებსაც „ხესედ ელიაჰუ“-ს საპატიო ჯილდოები გადაეცათ (სამახსოვრო მედლები ებრაული სათემო სახლის ბარელიეფით).

ხესედის სამეურვეო პირებმა მადლობა გადაუხადეს დირექტორსა და თანამშრომლებს მათთვის გაწეული უდიდესი დახმარებისა და იმ სიკეთისათვის, რომელსაც ისინი მთელი ამ წლების განმავლობაში სტაბილურად და უშურველად ღებულობენ.

საღამო დასრულდა ყველასათვის საყვარელი მუსიკოსების — თემურ ყვითელაშვილისა და გიორგი გარბერის მიერ შესრულებული კომპოზიციებით.

დღეისათვის საქველმოქმედო ცენტრში „ხესედი ელიაჰუ“ აღრიცხვაზე იმყოფება 1808 სამეურვეო პირი. მათ შორის პროგრამაში „ებრაელთა საოჯახო სამსახური“ (JFS) აღრიცხვაზეა 0 -დან 16 წლამდე ასაკის 558 ბავშვი.

სხვადასხვა პროგრამებით ყოველთვიურად (ბოლო თვის) სამეურვეო პირთა მომსახურების მონაცემებია:

- პროგრამა „საბანკო ბარათები“ - 1190 ბენეფიციარი;
- პროგრამა „ცხელი სადილი ბინაზე მიტანით“ - 25 ბენეფიციარი;
- პროგრამა „შეკვეთების მაგიდა“ - 37 ბენეფიციარი;
- პროგრამა „ბინაზე მოვლა“ - 121 ბენეფიციარი;
- პროგრამა „დღის ცენტრი“ - 50 ბენეფიციარი;
- პროგრამა „SOS“ („ექსტრემალური დახმარება“) - 25 ბენეფიციარი.

პროგრამა „JFS“

- პროგრამა „საბანკო ბარათები“ - 175 ბენეფიციარი;
- პროგრამა „პირადი ჰიგიენა და პამპერსები“ - 22 ბენეფიციარი;
- პროგრამა „ბავშვთა კვება“ - 20 ბენეფიციარი.

გარდა ამისა, ცენტრში „ხესედი ელიაჰუ“ ფუნქციონირებს ისეთი პროგრამები, როგორებიცაა -კლუბი, მარტივი სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკის შეკეთება; სარეაბილიტაციო ინვენტარის დროებით უსასყიდლოდ გაცემა; ბავშვებისათვის კი სხვადასხვა შემეცნებით - გასართობი მეცადინეობები და წრეები.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი პატივს მიაგებს...

23 მარტს — მწერლის დაბადების დღეს, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა ცნობილი მთარგმნელის, პოეტის, საქართველოს ეროვნული — შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატის ჯემალ აჯიაშვილის ხსოვნის საღამო. საღამოზე მოვიდნენ მწერლის მეგობრები, მისი ნიჭის დამფასებლები, ებრაული თემის წარმომადგენლები

ხსოვნის საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ. უნივერსიტეტის რექტორმა სერგო ვარდოსანიძემ, მთარგმნელისა და პოეტის თაობაზე ისაუბრეს: პროფესორმა ვახტანგ სართანიამ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, ი. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შერვაშიძემ, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურმა, პოეტებმა ლია სტურუამ და გივი შაჰნაზარმა, სპორტულმა კომენტატორმა ჯ. ხუხაშვილმა, აღმოსავლეთმცოდნე თ. მახარაშვილმა და სხვ.

სტუდენტებმა წაიკითხეს ჯ. აჯიაშვილის თარგმანები.

მ ი ს ა ლ მ ე ბ ე ბ ი

Дорогие сотрудники, волонтеры и подопечные Хэсэда Элиаху, примите наши самые искренние поздравления по случаю 20- летия!

Хэсэд Элиаху – с первых дней своего основания и вот уже 20 лет играет важнейшую роль в жизни еврейской общины этого города Тбилиси и Грузии в целом. Каждый день по всему миру кто-то нуждается в помощи, поддержке и заботе, и каждый день из этих 20 лет Хэсэд Элиаху даёт необходимую помощь Евреям Тбилиси.

Покупка продуктов и медикаментов, уход на дому, работа с особыми детьми и многое другое – в чем бы не нуждались члены еврейской общины – Хэсэд всегда готов протянуть руку помощи.

Американский комитет Джойнт, искренне гордится долголетним партнёрством с Хэсэдом Элиаху в предоставлении социальных услуг и поддержке местной общины.

Высочайший профессионализм сотрудников и глубокая преданность делу волонтёров делают Ваш Хэсэд примером для поддержания и вызывают искреннее восхищение.

Мы желаем всем сотрудникам, волонтерам и подопечным Хэсэда долголетия, здоровья и благополучия, а самому Хэсэду процветания и продолжения своей жизненно важной работы ещё много лет,

С глубоким уважением,

Оксана Галькевич и коллеги Иерусалимского офиса Джойнт.

ძვირფასო ბატონო რეზო!

უღრმეს მადლობას გიხდით იმ დიდი თანადგომისათვის, ყურადღებისათვის, სიკეთისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის და მთლიანად ჩვენი დიასპორისთვის. ეს დახმარება ძალიან დიდ როლს თამაშობს ჩემს შეჭირვებულ ცხოვრებაში. გამჩენის ნებით, იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი და ყოველივე სიკეთე თქვენ!

პატივისცემით

ციცინო აბრამიშვილი.

Всем сердцем хочу выразить благодарность вашему центру за материальную и духовную поддержку, за то внимание и тепло, которое мы получаем от Вас и ваших сотрудников. Вы - наша надежда, с Вами чувствуем себя защищенными. Ещё раз огромное спасибо. Дай Бог, чтоб Вы всегда несли добро и радовали нас Вашей помощью.

Бранзбург Дарья.

Уважаемые Покровители!

Выражаю сердечную благодарность Вам и Вашим сотрудникам за благотворительную помощь, проявление милосердия и чуткое отношение к людям, нуждающимся в Вышей помощи!

Желаю Вам дальнейшего благополучия, процветание и успехов на благо нашего народа!

С уважением,

Нелли Мгеладзе.

Благодарность!

Мы, нижеподписавшиеся, от всего сердца благодарим Вас за Ваше огромное внимание к нам. За то, что Вы не забываете нас и уделяете нам огромное внимание, за Ваше тепло и заботу о нас. Помощь ХЭСЭДА позволяет нам не чувствовать старость и радоваться жизни.

12 подписавшихся.

ჯგუფის სამადლობელი წერილი

ჩვენს რთულ დროში, როცა კვების საკითხი თითოეული ჩვენგანისათვის პრობლემა გახდა და განსაკუთრებით კი ჩვენი კონტიგენტისათვის, გაკვირვებას იწვევს, როგორ მოხერხებულად უძღვება საქმეს კვების პროგრამის დირექტორი ქალბატონი პოლინა კრასიკი. მოგვწონს მისი მენიუც, წელიწადის დროსთან და ჩვენს მოთხოვნებთან შესაბამისად. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ იგი თავისი კოლექტივის კარგი ორგანიზატორიცაა. დიდი მადლობა სამზარეულოსა და სასადილოს თითოეულ მუშაკს, რომლებიც თავის დროზე აწოდებენ ცხელ კერძს ბინაზე. ისინი ყველანი ძალიან ყურადღებიანები არიან და დიდ პატივისცემას იმსახურებენ. დიდი მადლობა მათ!

22 სამეურვეო პირის ხელმოწერა.

Это ужасно, когда зима вселяет в человека панический страх. Наступление зимы, уже который год мы ждём с ужасом. Дом у нас старый, аварийный, из окон дует ветер и заливает водой во время дождя.

Своими силами старались утеплить квартиру как могли, но с наступлением холодов находиться в ней было невыносимо. Отапливали, но тепло уходило через окна.

Живём мы с мужем в этой квартире одни на одну пенсию. Муж после перенесенного инфаркта и шунтирования на сердце работать не может.

В нашем возрасте верить в доброго волшебника – смешно, но известие о том, что великодушный, добрый, незнакомый нам человек вызвался поменять нам окна и подарить нам тепло, это не что иное, как чудо и подарок о котором мы даже не могли мечтать.

Сейчас у нас в квартире тепло, не включая обогреватель. Недавно быль сильный ветер и представьте , мы даже не слышали шума, и занавески не шевелились.

Подумать только, как мало нужно человеку для счастья. Как приятно осознавать, что существуют люди, которые это счастье могут подарить.

Дай Вам Бог здоровья и возможности делать хорошие дела!

Огромное спасибо за Ваше доброе сердце!

С уважением,

Теймураз Хмаладзе, Кетеван Гаранашвили.

წერილი

ნება მიბოძეთ, მადლიერება გამოვხატო თქვენს წინაშე იმ კეთილი საქმეებისა და დახმარებისათვის, რომელსაც თქვენ სტაბილურად, ყოველდღიურად და დროულად უწევთ თქვენს სამეურვეო პირებს, რაც მათ რთული დღეების დაძლევაში ეხმარება. განსაკუთებული მადლობა მინდა გადაგიხადოთ ელექტრო ენერგიის და კომუნალური გადასახადების გადახდისათვის. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რამეთუ ჩემს ბინაში გაზი არ არის და მე ელექტროენერგიის ხარჯვა მიხდება, ასე რომ თქვენ ასეთი თბილი დამოკიდებულებით გვათბობთ ხანგრძლივ და ცივ ზამთარში, არა მხოლოდ მე და ჩემს ოჯახს, არამედ ბევრ სხვა ჩემნაირსაც.

დაე, ყველა ადამიანმა ჩვენს პლანეტაზე აკეთოს სიკეთე დარწმუნებულებმა იმაში, რომ მათი ლოცვები შესმენილი იქნება უზენაესისაგან.

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ბერტა ლოიკო.

მადლიერების ბარათი

უზომოდ დიდი დახმარება გამიწიეთ და დამეხმარეთ წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემების დასაძლევად. კერძოთ ურთულესი და ხმაურიანი ქუჩის პირველ სართულზე მცხოვრებს გამუდმებული მტვერი, ხმაური და გაუსაძლისი პირობები გვქონდა, რადგან ფანჯრის ჩარჩოები მწყობრიდან იყო გამოსული და ჩემი სახსრებით ვერ ვცვლიდი.

მადლობელი ვარ, რომ თქვენი ორგანიზატორობითა და თქვენი თანამშრომლების გულისხმიერებით წარმატებით დასრულდა ფანჯრების შეცვლა. მეტად აკურატულად და ხარისხიანად შესრულდა სამუშაო. ძალიან კმაყოფილი ვარ და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.

პატივისცემით,

დალი ბაჩაკაშვილი.

სამადლობელი წერილი

არც კი ვიცი, არსებობს თუ არა სიტყვები, რომლებიც შეძლებენ იმ გრძნობის გადმოცემას, რომელსაც მე და ჩემი მეუღლე იური ჩიქოვანი განვიცდით თქვენი ორგანიზაციის მიმართ. უბედნიერესი ვარ, რომ გავხდი არაჩვეულებრივი ებრაელი ქალბატონის ტატიანა სოლომონის ასული ნემჩინსკაიას რძალი, რამე თუ მისი წყალობით გავიცანი ის არაჩვეულებრივი ადამიანები თქვენთან რომ მუშაობენ. თქვენ და თქვენი ორგანიზაცია უკვე რამდენი წელია, გვაძლევთ იმის საშუალებას და აკეთებთ ყველაფერს, რომ გავუძლოთ ამ რთულ სიტუაციას აქ, საქართველოში. თქვენ ყველაფერ ამას აკეთებთ დიდი გულისხმიერებით, ხოლო თქვენი თანამშრომლების დამოკიდებულება ჩვენს მიმართ შეიძლება ჩაითვალოს ნიმუშად და ეტალონად იმისა, თუ როგორ უნდა ეპყრობოდეს ადამიანი მოყვასს, რათა ცხოვრება უკეთესი გახდეს.

ყველას დიდი მადლობა, გაგიმარჯოთ, გაიხარეთ და დიდხანს იცოცხლეთ ჩვენდა საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,

ირინა კვირკველია.

სამადლობელი წერილი

ბატონო რეზო, პირველ რიგში მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ დიდი გულისხმიერებისა და ყურადღებისათვის, რომელსაც თქვენ იჩენთ თქვენი თანამემამულეების მიმართ.

ა/წ დეკემბერში, ჩემი განცხადების თანახმად სამზარეულოსა და ლოჯიაში დამიყენეს მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა, ვინაიდან ძველი ფანჯრები იყო კატასტროფულ მდგომარეობაში.ამჟამად მშვიდად ვარ, რადგან ფანჯრებს საფრთხე აღარ ემუქრება.

მადლობა თქვენ და ყველა იმ პიროვნებასა თუ ორგანიზაციას, რომლებიც ასეთ გულისხმიერებას იჩენენ ჩვენს მიმართ. ასევა მინდა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ და საერთოდ იმ ხალხს, რომლებიც გვამარაგებენ პროდუქტებით, რითაც თავიდან გვაცილებენ შიმშილსა და სიღატაკეს.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თქვენ.

პატივისცემით,

ლამარა სეფიაშვილი.

„ხესედ ელიაჰუ“-ს დირექტორს

არიან ადამიანები, რომელთაც ღმერთი არა მხოლოდ პროფესიულ ნიჭს, არამედ სიყვარულისა და სიკეთის კეთების განსაკუთრებულ უნარსაც ჭარბად ანიჭებს. სწორედ ასეთ ადამიანებს მიეკუთვნებით თქვენ ბატონო რევაზ!

თქვენ წლების განმავლობაში რუდუნებით

უდგეხართ სათავეში ორგანიზაციას, რომლის გამუდმებული საზრუნავი უპირველესად უბედურებაში, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანები არიან; თქვენ, თქვენი საქველმოქმედო საქმიანობით, უდიდეს საქმეს აკეთებთ, რათა შეუმსუბუქოთ ჩვენს მუდმივ დევნაში მყოფი ერის წარმომადგენლებს მორალური თუ ეკონომიური განსაცდელი.

თქვენი ორგანიზაციის უშუალო სიკეთის მადლი, უშუალოდ თქვენი ხელმძღვანელობით ბატონო რევაზ, მე საკუთარ თავზე არა ერთხელ გამოვცადე. ამ ცოტა ხნის წინსერიოზული მკურნალობა დამჭირდა და რომ არა თქვენი ადამიანური და ფინანსური თანადგომა, ვერაფერს გავაწყობდი. ეს ფაქტი ჩემთვის ადამიანური თანაგრძნობისა უდიდეს მაგალითად და ნიმუშად იქცა.

თქვენ ორგანიზაციასთან ურთიერთობით, უფრო პოზიტიური ვხდები, და ვაცნობიერებ, რომ ცხოვრებაში მარტო არ ვარ, რომ უამრავი კეთილი ადამიანი ჩემს გვერდითაა, თანამიგრძნობს ჩემს მძიმე ყოფას. თქვენ ნამდვილ ადამიანურ ფასეულობებს ქმნით ბატონო რევაზ და არ ემსახურებით ფსევდოღირებულებებს.....

ეს წერილი არის ჩემი მოკრძალებული მცდელობა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ, ჩემი თანადგომისათვის და გისურვოთ დიდი ხნის ჯანმრთელი სიცოცხლე და შრომის უნარი.

მადლობა ღმერთს, რომ არსებობენ თქვენი მსგავსი კეთილი ადამიანები და არსებობს ჩვენი მოყვასის სიყვარული, რომელიც გვაერთიანებს.....

უდიდესი პატივისცემით,
ლუბა ნიკოლაიშვილი.

მადლობის წერილი

ვარ პირველი ჯგუფის ინვალიდი, პენსიონერი, დაავადებული ბავშვთა ცერებრალური დამბლით.

დიდი ხნის მკურნალობამ დამიზიანა კუჭ-ნაწლავი, ამის გამო მრავალჯერ ვარ ნაოპერაციები. ამიტომ ჩემთვის ზედმიწევნით საჭიროა სითბო და პირობები , რათა ვიცოცხლო. ამის უზრუნველყოფაში დიდი დახმარება გამიწია თქვენმა ორგანიზაციამ. შემიცვალა ოთახის ამორტიზირებული კარ-ფანჯრა ------ კარ-ფანჯრით. ამჟამად მიუხედავად ზამთრის მოახლოებისა ოთახში მაქვს სითბო და სიმყუდროვე. ხესედ ელიაჰუს დამსახურებაა ის, რომ მყავს პატრონაჟი, რომელიც მერამდენე წელია მეხმარება შეძლებისდაგვარად. არ შემიძლია არ აღვნიშნო კვების, მკურნალობის და სხვა და სხვა პროგრამები, რომლების გარეშე მე და ბევრ იმ ადამიანს, ვისაც ეხმარებით გაუჭირდებოდა არსებობა. გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ჩვენ დამოკიდებულნი ვართ ყველა იმ ქმედებაზე, რასაც აკეთებს ჩვენთვის ეს სიკეთით სავსე ორგანიზაცია და მისი თანამშრომლები.

უღრმესი მადლობა ყველაფრისათვის, წარმატებები თქვენ და მინდა ვისურვო თქვენი იმედი არ მოგვშლოდეს ჩვენ, თქვენ კი ერთი ათასად მეტი შესაძლებლობა, ძალა და ღმერთის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეთ.

მრავალ რელიგიურ და საერო დრესასწაულებს დაესწარით ბედნიერად და ჯანმრთელად.

პატივისცემით,
მაია ჯანაშვილი.

სამადლობელი განცხადება

მოგახსენებთ, რომ თქვენს მიერ განხორციელებული იქნა, ჩვენს ოჯახში მეტალო-პლასტმასის სულ 7,8 კვ. მ 1 ცალი კარისა და 3 ცალი ფანჯრის შეცვლა ლოჯიასა და დიდ ოთახში, რისთვისაც დიდ მადლობას გიხდით ჩვენი ოჯახი, აღნიშნული საქველმოქმედო ღონისძიების განხორციელებისათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ ასეთი ღონისძიებების ჩატარებისათვის. ჩვენს ოჯახში შემოიტანეთ სითბო და ასეთი სასიკეთო საქმეები კიდევ მრავალი - მრავალი გეკეთებინოთ.

მადლიერების გრძნობით,
მიხეილ ჯანაშვილი, სარა ჯანაშვილი.

„ხესედ ელიჰაუ“. დასაწყისი

1997 წ. ჩვიდმეტი მარტის საღამოს ებრაულ საქველმოქმედო ცენტრ „ხესედ ელიაჰუს“კლუბში სამედიცინო დარგის სპეციალისტების პირველი შეხვედრა გაიმართა. კლუბში ტევა არ იყო. შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქში საკმაოდ კარგად ცნობილი სამედიცინო დარგის სპეციალისტები: ანგიოლოგი გივი წინუაშვილი, ორთოპედ- ქირურგი მარკ კაკიტელაშვილი, გინეკოლოგი ბერტა ჯანაშვილი, მისი ქალიშვილი ექიმი- ლაბორანტი ნანა ეფრემაშვილი , ქირურგი ედუარდ ამჩისლავსკი. ნევროპათოლოგები ნათელა ფიჩხაძე, ისაკ მიხელაშვილი, ჩინური მედიცნის სპეციალისტი იაკობ პარლაგაშვილი. ახალგაზრდა ქირურგი — „ხესედ ელიჰაუს “ სამედიცინო პროგრამის დირექტორი მიშა შიმშილაშვილი და სხვ. ხესედი ორიოდე კვირის გახსნილი იყო და მალხაზ ნანიკაშვილმა — „ხესედ ელიჰაუს“ იმდროინდელმა დირექტორმა, დამსწრეთ გააცნო „ხესედ ელიჰაუს“ არსი, დანიშნულება და შეკრებილთ შესთავაზა უანგაროდ, მოხალისეთა სტატუსით, თავიანთი წვლილი შეეტანათ „ხესედ ელიაჰუს“ მუშაობაში — ხესედში აღრიცხვაზე მყოფ პირთათვის გაეწიათ სამედიცინო დახმარება. ესენი იყვნენ ხანში- შესული პენსიონრები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. შეხვედრაზე დარიგდა კითხვარები, სადაც დამსწრეებმა დააფიქსირეს, თუ ვის, როგორი წვლილის შეტანა შეეძლო ორგანიზაციის მუშაობაში. შედგა ყოველდღიური განრიგი სხვადასხვა სპეციალობის ექიმებისა, ისინი კვირის გარკვულ დღეს, გარკვეულ საათებში მიდიოდნენ ხესედში და ატარებდნენ მიღებას, სამედიცინო კონსულტაციას, დახმარებას უწევდნენ, მათ, ვისაც ეს სჭიროდა. ესენი იყვნენ: თერაპევტები მილა ვერხოლაზი, ელისო ავალიანი, ნევროპათოლოგები ისაკ მიხელაშვილი, ნათელა ფიჩხაძე, კარდიოლოგები მანანა მარტიროსიანი, ოთარ სიმონიშვილი, სტომატოლოგი ირმა პარლგაშვილი და სხვები, ხესედში სხვა პროგრამებთან ერთად სამედიცინო პროგრამა ჩამოყალიბდა საკმაოდ შრომატევად და მნიშვნელოვან პროგრამად. სამედიცინო პროგრამის ხელმძღვანელის — მიხეილ შიმშილაშვილის ხელმძღვანელობით ყოველდღიური მიღების განრიგით ინტესიურად მუშაობდა კარგად აწყობილი გუნდი. მიღებაზე მოდიოდნენ და მოდიოდნენ პაციენტები, ხესედის კლიენტები ღებულობდნენ, აბსოლუტურად უფასოდ, საკმაოდ მაღალხარისხიან სამედიცინო კონსულტაციას, იზომავდნენ არტერიულ წნევას, იღებდნენ კარდიოგრამას, ღებულობდნენ სტომატოლოგიურ მომსახურეობას. ყოველ კვირას, ჭამის წინ და ჭამის შემდეგ, მე მათ ვუტარებდი სისხლის ანალიზს გლუკოზის შემცველობაზე, რაც ერთობ აუცილებელი იყო შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებისთვის. ექიმი-ლაბორანტი ნანა ეფრემაშვილი თვეში ერთხელ ატარებდა სისხლის საერთო ანალიზების გამოკვლევას. საჭიროების შემთხვევაში ექიმები ახორციელებდნენ ვიზიტს ბინებზე. გივი წინუაშვილი, მარკ კაკიტელაშვითი, ედუარდ ამჩესლავსკი, ბერტა ჯანაშვილი „ხესედის“ კლიენტებს საავამდყოფოებში სრულიად უანგაროდ უწევდნენ სამედიცინო კონსულტაციებს და დახმარებას — ხშირად ეს ხდებოდა ხელმძღვანელობის საყვედურის რისკის ფასადაც კი, რადგან სამედიცინო მომსახურეობა ფასიანი იყო, სამედიცინო დაზღვევა კი არ არსებობდა.„ ხესედის“ ბენიფეციარები იყვნენ მცირეშემოსავლიანი პირები. მათ არ შეეძლოთ სავამ-

დყოფოს მომსახურეობის საფასურის გადახდა. პენსია იყო12 ლარი. ქვეყანაში ფულის მასის ნაკლებობის გამო, პენსიონრები პენსიას ღებულობდნენ რამდენიმე თვეში ერთხელ. სავამდყოფოებში ხესედის ექიმი -მოხალისეები, როგორც მათ ეწოდებოდათ, ვოლონტიერები, თავიანთი ავტორიტეტისა და კოლეგების დახმარების მეშვეობით, ახორციელებდნენ კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას, მკურნალობასაც კი. ძნელია გამოყო რომელიმე მათგანის გულისხმიერება და თავდადება. „ხესედის“ სამედიცინო პროგრამა ბენეფიციარებს, საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო ინვენტარითაც ეხმარებოდა: ყავარჯნებით, ეტლებით, „ხადუნოკებით“ და სხვ, დროთა განმავლობაში ამუშავდა წამლების, ყურთასასმენი აპარატების და სათვალით დახმარების პროგრამები.

1997 წ. დეკემბრში, ხანუქის დღესასწაულთან დაკავშირებით, ქალთა ორგანიზაცია „ლეა“ ს (თავმჯდომარე — მარინა სოლომონიშვილი) წევრებს შეხვედრა ჰქონდათ აწ გარდაცვლილ „ჯოინტის“იმ დროინდელ ხელმღვანელთან — მეირ ზიზოვთან. შეხვედრის თემა იყო „ხესედის მნიშვნელობა და ვოლონტიორის როლი მის მუშაობაში“. შეხვედრას ესწრებოდა რამდენიმე ათეული ქალბატონი. მათ შორის ხესედის სამედიცინო პროგრამის ექიმი-ვოლონტიორები ნევროპათოლოგი ნათელა ფიჩხაძე, გინეკოლოგი ბერტა ჯანაშვილი, მისი ქალიშვილი ნანა ეფრემაშვილი და მე.

მიმდინარეობდა საკმაოდ ინტესიური მუშაობა ხესედის განვითარებისთვის. ტარდებოდა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები. საბჭოს ხელმძღვანელობდა აწ გარდაცვლილი პროფესორი ლული შათაშვილი. წევრები გახლდნენ: მალხაზ ნანიკაშვილი, სერგეი ვლასოვი, გურამ ბათიაშვილი, ასევე აწ გარდაცვლილი შალვა ჩიკვაშვილი, ვლადიმერ ფიჩხაძე, ჯემალ აჯიაშვილი

ხესედის ცხოვრება საკმაოდ ხალისიანი და მიმზიდველი გახდა, როცა კულტურული პროგრამის ხელმძღვანელად მუშაობა დაიწყო კონსერვატორიის პროფესორმა — რომან გორელაშვილმა. მან მთელი იმდროინდელი ხესედის ცხოვრება აავსო და შეავსო ყოველდღიური სიხარულით, შემოიტანა სრულიად ახალი სიცოცხლე.

მე კვირაში ორჯერ ვატარდებდი გამანჯანსაღებელ ვარჯიშებს. მეცადინეობის კომპლექსი შემუშავებული მქონდა ყველა მონაწილის ჯანმრთელობის გათვალისწინებით და შესაძლებლობიდან გამომდინარე. ამისთვის საჭირო იყო ყოველი მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცოდანა და მეცადინეობის მეთოდის შემუშავება ისე, რომ მიუხედავად იმ ადგილისა, სად ჩატარდებოდა მეცადინეობა — ხესედის კლუბში თუ ეზოში — ყველა მონაწილეს შეძლებოდა ერთდროულად შეესრულებინა ვარჯიშები — ადვილად, ხალისიანად , მონდომებით და ჯანმრთელობისთვის სასარგებლოდ. ასევე კლუბში ტარდებოდა ებრაული და ინგლისური ენის გაკვეთილები. ტარდებოდა შეჯიბრები ნარდში, შაშში, ჭადრაკში. ყოველ პარასკევს ეწყობოდა კაბალთ შაბათი. ხესედის ბენეფიციარებიდან და ვოლონტიორებიდან ჩამოყალიბდა სიმღერის ჯგუფი. მათივე მონაწილეობით მზადდებოდა და ტარდებოდა კონცერტები, საინტერესო შეხვედრები, ვიქტორინებ, საზეიმო ღონისძიებები. იყო გასვლითი ღონისძიება თბილისის ცირკში, ექსკურსიები ქალაქში, ვაკის პარკში ლიტერატურული საათი. საკმაოდ დიდი მიღწევა იყო, როცა რომან გორელაშვილმა რუსთაველის თეატრში შეძლო კონცერტის ჩატარება ხესედის ბენეფიციარების და ვოლონტიორების მონაწილეობით.

ჟურნალისტ ილია ბრინერის ხელმძღვანელობით „ხესედი“ გამოსცემდა ჟურნალ „ბნეი ციონ“ ს, მასში ყველა მასალა მოწოდებული გახლდათ მოხალისეების მიერ.

„ხესედ ელიაჰუს“ მუშაობა და მისი კლიენტების ცხოვრება აეწყო საკმაოდ კარგად , ერთ მთლიან მექანიზმად. მოხუცები ყოველ დილით „ ხესედში“ მოსვლისას მიირთმევდნენ ჩაის ფუნთუშებთან ერთად. სამედიცინო კაბინეტში ღებულობდნენ საჭირო მომსახურეობას. მონაწილეობდნენ კლუბის წრეებში. ამის შემდეგ მოუთმენლათ ელოდნენ დღის ორ საათს — შედიოდნენ სასადილოში სადილზე... სადაც პალინა კრასიკის ხელმძღვანელობით და მისი თანაშემწე ეთერ ბაზაზაშვილის მეშვეობით სამზარეულოს სხვა თანამშრომლებთან ერთად მათ კვებავდნენ საკმაოდ ხარისხიან და კეთილსინდისიერად მომზადებული სადილით. ეს ხდებოდა მთელი სასადილოს თანამშრომლების ხელდაუზოგავი და მუხლჩაუხრელი მუშაობის შედეგად. ბუნებრივია, საკმაოდ მძიმე შრომაა მოამზადო საკვები და გაუმასპინძლდე სხვადასხვა ასაკის, გემოვნების და ჯანმრთელობის მქონე მოხუცებს ერთდროულად ისე, რომ ყველა დარჩეს მაძღარი, ნასიამოვნები, კმაყოფილი გემოთი და ხარისხით. სადილის მომზადება იწყებოდა საჭირო რაოდენობის მაღალხარისხიანი პროდუქტების შეძენით. მზადდებოდა არაერთი სახეობის კერძი. ყოველდღიური მენიუ შედგენილი იყო მოხუცების ჯანმრთელობის, ათვისების შესაძლებლობის გათვალისწინებით ჯანმრთელობისთვის საჭირო ინგრდიენტების გამოყენებით. ხარისხიანი და გემოთი ყველასთვის მისაღები კერძები მზადდებოდა იმდენი რაოდენობით, რომ ყველას გასწვდომოდა. სადილის შემდეგ ხდებოდა დაცარიელებული ქვაბების და მთელი ჭურჭელის გარეცხვა და მეორე დღისთვის მზადება. ამასთან ერთად სასადილოს მუშაკები ამზადებდნენ სადილს არ მარტო იმათთვის, ვინც თავად მიდიოდა სასადილოში, იმთთვისთაც, ვინც ვერ გადაადგილდებოდა და ვერ მიდიოდა „ხესედში“. მათთვის დღე გამოშვებით — ორი დღის სადილი სახლში მიჰქონდათ მანქანით. ამაში ეხმარებოდნენ მოხალისეები. მოქმედებდა პრინციპი: „ვინც გადაარჩენს ერთ სიცოცხლეს, ის გადაარჩენს მთელ სამყაროს! “

იმათთვის, ვინც ვერ გადაადგილდებოდა და დამოუკიდებლად ვერ უვლიდნენ თავს რივა კრუპნიკის ხელმძღვანელობით პატრონობდათ ბინაზე პატრონაჟის პროგრამა. პროგრამაში მომუშავე სპეციალურად მომზადებული პატრონაჟის დები განრიგით უვლიდნენ ხესედის კლიენტებს ბინაზე: ბანდნენ, უცვლიდნენ, აჭმევდნენ, მოხუცებს უმსუბუქებდნენ ყოფითი სიძნეელებს. ასრულებდნენ აუცილებელ ყველა საჭირო დახმარებას. რის შედეგად შეიქმნა აუცილებელი მოთხოვნა სამრეცხაოს, აბანოს მომსახურეობის და პამპერსებით დახმარებისა.

აწ გარდაცვლი ვოლონტიორი მზია მაღალაშვილი — ხახამ ბენციონ ისრაელაშვილის დედა — სხვა მოხალისეებთან ერთად ყოველთვიურად „ხესედის“ საწყობიდან ახორციელებდა სასურსათო პროდუქტების ნაკრების გაცემას ხესედის კლიენტებზე, რაც არანაკლებ ძალას და ხალხთან ურთიერთობის უნარს მოითხოვდა. ყოველი თვის დასაწყიში ყოველდღიურად რამდენიმე ათეული პირისთვის ამოწმებდა სასურსათო ნაკრების შემადგენლობას და ისე გასცემდა ყოველ კლიენტს თვითეულ ნაკრებს. პროდუქტების ნაკრების გარდა, ამოქმედდა დახმარება ზამთრის თბილი ტანსაცმლით და ჰიგიენური საშუალებებით.

საკმაოდ კარგად ასრულებდა თავის დავალებას მოკედის პროგრამა ლარისა საენკოს ხელმძღვანელობით. პროგრამის ვოლონტიორები იყვენ ხესედის საინფორმაციო სამსახურის ის პირები, ვინც პირველები პასუხობდნენ სატელეფონო ზარებს — ტელეფონით ან ხესედში მისულ მოქალაქეებს მოკედის პროგრამაში მობილიზებული იყვნენ: ქალის და მამაკაცის დალაქები, ტანსაცმლის შემკეთებელი, ფეხსაცმლის შემკეთებელი, სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, ტელევიზორის შემკეთებელი. საჭიროების შემთხვევაში ყოველი მათგანი ანაზღაურების გარეშე თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ემსახურებოდნენ ბენეფიციარებს.

ხესედის სული და გული იყვნენ დიდი სამამულო ომის მონაწილეები — განუყრელი მეგობრები ბორია ზაალიშვილი და პაველ იარავო. ორივე ერთად ყოველ დილა პირველები ხვდებოდნენ ხესედის ეზოში შემსვლეს და როგორც მზრუნველი მშობლები, თავს დასტრიალებდნენ ყველას.

დროთა განმავლობაში „ხესედის“ განვითარების შედეგად თევდორე მღდვლის ქუჩაზე დაკავებული ფართი ვეღარ იტევდა კლიენტებს და პროგრამებს.

2003 წ. სამ აგვისტოს გაიხსნა თბილისის სათემო ებრაული სახლი. ხესედის კლიენტებისთვის ეს იყო სასიხარულო მოვლენა. ხესედმა თავისი მოცულობით დაიკავა სარდაფი, პირველი და მეორე სართულები. სამზარეულო მოეწყო თანამედროვე ტექნოლოგიით, სასადილო კი განლაგდა ნათელ, დიდ და კეთილმოწყობილ დარბაზში. ახალ სახლში სასურსათო პროდუქტების დარიგება მოეწყო საკმაოდ კარგად მოწყობილი საწყობიდან. ყველა პროგრამას გაუჩნდა თავისი ცალკე ოთახი. გამაჯანსაღებელი ვარჯიშების მეცადინეობას ვატარებდი ებრაული სახლის მეხუთე სართულის სპორტიულ დარბაზში, რაც იყო „ხესედის“ დირექტორის რევაზ შათაშვილის დამსახურება. მან ასევე ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ებრაული სახლის მოქმედ პროგრამებთან ერთად ჩემი ხელმძღვანელობით ემუშავა სკოლამდელი და სასკოლა ასკის მოზარდებისთვის სამკურნალო ვარჯიშების პროგრამას. რევაზ შათაშვილმა ასევე იზრუნა იმაზე, რომ ბენეფიციარებს საშუალება ჰქონოდათ 2007 წ. ზფხულში რამოდენიმე დღე დაესვენათ ქალაქგარეთ. სადაც ყოველ დილას ვატარებდი გამანჯასაღებელი ვარჯიშებს. დამსვენებლებზე ასევე ზრუნავდნენ სამედიცინო პროგრამის იმ დროინდელი დირექტორი მიშა ჯანაშვილი, კურატორები თეა მიხელაშვილი, ნელი კალნიცკაია. ნატაშა ზასლავსკაია, ნატაშა პოზინა,

ქვეყნის წინსვლასა და განვითარებასთან ერთად თბილისის ხესედის მუშაობაც შეიცვალა. გაუქმდა ზოგიერთი პროგრამა. შეიცვალნენ პროგრამის ხელმძღანელები და თანამშრომლები. შეიცვალა პროგრამების მიმართულებებიც. ძველი მეთოდით მომუშავე პროგრამები გადავიდნენ ახალ დახვეწილ სტანდარტებზე. მისი ოც წლიანი მუშაობის მანძილზე მან არა ერთ ასეულ ადამიანს გაუწია დახმარება, არაერთ ასეულს შეუმსუბუქა ცხოვრების სიძნელე, არაერთ ასეულს გადაურჩინა და გაუგრძელა სიცოცხლე.

თამარ შავოშვილი

გაზეთ „მენორა“-ს რედაქციას

ნუთუ, არც ღმერთის ეშინიათ?

13 მარტს, „შუშან ფურიმის“ დღეს, ებრაული კალენდრით დედის გარდაცვალების მორიგ, მე-17 წლისთავზე ე.წ. „დამპალოს“ სასაფლაოს ხევში მშობლების საფლავზე ასულ შვილებს შემზარავი სურათი დაგვხვდა: საფლავის ცოკოლის ზურგზე დამონტაჟებული ძვირფასი შავი გრანიტის მარმარილოს ქვაში გამოქანდაკებული გული ვიღაც ვანდალებს გადაენგრიათ და ტალახში ამოეთხვარათ. ცალკე იყო მოგლეჯილი ბერძნული პოროსის ქათქათა თეთრ უძვირფასეს მარმარილოში გამოთლილ-მოჩუქურთმებული დავითის ვარსკვლავი — „მაგენ დავითი“.

დარბევამდე ეს ვარსკვლავი შავი გრანიტის გულს თავზე ედგა და შიგ ფოლადის მყარი შტილებით იყო ჩაბეტონებული. მოგლეჯილი თეთრი ვარსკვლავიც ტალახში იყო ამოგანგლული. ვარსკვლავის სამაგრი ფოლადის მომტვრეული შტილებიდან ორივე დეფორმირებული — დაღუნული იყო. მათგან ერთი თვით ქვის გულში ჩარჩენილიყო, მეორე კი ვარსკვლავს შეჰყოლოდა.

ყველაზე დიდი ცინიზმი ის გახლდათ, რომ ეს დასახიჩრებულ-შებილწული ქვები საფლავის ზურგზე „აკურატულად“ იყო მიწყობილ-მიყუდებული.

ბზარები საფლავის შიგნით მშობლების ქვებზე თხლად გადაკრულ შავ გრანიტის ფილებზეც აშკარად ჩანდა, რაც მათზე უხეში ნაკვალევის შედეგს მიანიშნებდა.

შოკში მყოფებმა სხვა ვერაფერი მოვიფიქრეთ და მესაფლავეებს მივმართეთ. დიდი სადარაჯო ძაღლის თანხლებით ცენტრიდან დარბევის ადგილზე გადმოსულმა მესაფლავეებმა, ბავშვები იცელქებდნენო, „უაპელაციოდ“ დაასკვნეს. კი, ნამდვილად ბავშვებიო, რადგან ხევი, ფაქტობრივად, მხოლოდ უპატრონო მიცვალებულთა დასაკრძალავ ტერიტორიად იქცა მას მერე, რაც ცენტრს შესასვლელში ახალი ნაკვეთი შემოემატაო.

— რატომ არ გამოიძახეთ პატრული ოქმის შესადგენად?

— რატომ ტელევიზიებს არ შეატყობინეთ დასაფიქსირებლად?

— რატომ ოფიციალური განცხადებით არ მიმართეთ შესაბამის სამსახურებს? — ასეთი გახლდათ იმ ადამიანთა რეაქციები, ვინც მოგვიანებით ჩვენი გულისტკივილი შეიტყო.

არსად არავისთვის მიგვიმართავს! უმწეოდ დარჩენილებს ხელთ ჩვეულებრივი ფოტოს გადაღების საშუალებაც კი არ გვქონდა. გაოგნებულებმა მხოლოდ ის მოვახერხეთ, რომ მესაფლავეებს, მათ მიერ დასახელებული თანხის ფასად, დარბეული ქვების შეძლებისდაგვარი სწრაფი აღდგენა და საფლავის მაქსიმალურად ჩქარა მოწესრიგება ვთხოვეთ. მოთხოვნილი თანხა დაუყოვნებლივ გადავიხადეთ. თუმცა, აღდგენა მაინც უხარისხოდ განხორციელდა.

რას ვიზამთ, თავს ზემოთ ხომ ძალა არ არის. უბრალოდ „მენორა“-ს მკითხველის წინაშე ამ ფაქტის კონსტატაციის გარდა, იმის თქმაც მინდა, რომ გამორიცხულია, დამრბევები ბავშვები ყოფილიყვნენ. „ცელქი“ ბავშვები იმ ქვების სიმძიმეს და ფოლადის მყარი შტილების მომტვრევა — დეფორმირებას ვერა და ვერ მოერეოდნენ. მით უფრო, რომ გადანგრეული ქვების ტონაჟის აწევის და მერე საფლავზე უკან მიდგმის სიმძიმეს ვერაფრით გაუმკლავდებოდნენ. ერთობ ჯანმაგარმა მესაფლავე ხელოსანმა, ვისაც დარბეული საფლავის აღდგენაზე შევუთანხმდით, განაცხადა: თუ თანამშრომლები არ დავიხმარე, ამ ქვების ადგილიდან დაძვრას ვერაფრით შევძლებ, ვერ მოვერევიო.

შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რომელ დღეს განხორციელდა ეს ბარბაროსული აქტი. 13 მარტამდე საფლავზე 21 თებერვალს ანუ დედის წლისთავის საერო კალენდრის თანმხვედრ თარიღზეც ვიყავით ასულნი და მაშინ ყველაფერი წესრიგში დაგვხვდა.

მარჩიელობას ნამდვილად არ დავიწყებ, მაგრამ ამ აშკარა ვანდალიზმს ორი ასპექტი აქვს — ზოგადი და კერძო. ზოგადად ეს უზნეო აქტი რომ ნამდვილად გარკვეული მესიჯი და დამაფიქრებელი სიგნალია, ფაქტია და თანაც, ძალზე ჯიუტი. მეტადრე იმ ფონზე, როცა ესოდენ გამწვავებულ-დაძაბულია ისრაელიდან უკან გამობრუნებულ აქაურ მოქალაქეთა განწყობები. ხოლო კერძო თვალსაზრისით, ეს უმსგავსი ფაქტი პირადად ჩვენთვის საგრძნობი და აუნაზღაურებელი მორალური და მატერიალური ზარალია. ნეტა ვინმემ იცოდეს, რა ტანჯვა- წვალებით ვაკეთეთ თავის დროზე ეს საფლავი. ალალი და უსაყვედურო იყოს ჩვენი ძვირფასი მშობლების ნათელი სულებისათვის მათი ხსოვნისადმი პატივის მისაგებად გაწეული ჩვენი ძალისხმევები.

ნუთუ მათ, ვინც ეს ამაზრზენი საქციელი ჩაიდინეს, არც მშობლები ჰყავთ, არც გარდაცვლილი ახლობლები და არც ღმერთის ეშინიათ?

მარინა ბუზუკაშვილი

ლ ე ქ ს ე ბ ი

დავით აგმონი

ჩვენმა გაზეთმა დადებითად შეაფასა „ქართველ ებრალეთა პოეზიის ანთოლოგიის“ შედგენა-გამოცემის ფაქტი, თუმცა, იქვე მიუთითა, რომ ეს არ გახლავთ და არც შეიძლება იყოს ანთოლოგია, გამოცემა პოეტური კრებულის ხასიათს უფრო ატარებს, ვიდრე ანთოლოგიისას. იქვე მითითებული გახლდათ, რომ კრებულის შემდგენლებს გამორჩათ ერთობ საყურადღებო ავტორები. ზოგიერთი მათგანი ჩამოთვლილიც კი იყო. დამატებით ავღნიშნავთ, რომ კრებულში არ შევიდა კიდევ ორი ავტორი: დავით (აჯიაშვილი) აგმონი და შოთა ბოსტანაშვილი.

დავით აგმონი უკვე ცნობილი ავტორია, საქართველოს ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებულმა მისმა ლექსებმა მკითხველის, პოეზიის დამფასებელთა ყურადღება მიიპყრო, ხოლო არქიტექტორის პროფესორი შოთა ბოსტანაშვილი სიცოცხლის ბოლო წლებში პოეზიის გზაზე ვიდოდა. მისმა წიგნმა „ოთხი ლაპარაკი“ გამოხმაურება ჰპოვა.

დღეს მკითხველს ვთავაზობთ დავით აგმორის ლექსებს.

ელული

პროსპექტს ცა ბანგავს ბლონდისკარვება,
ფიქრებს აყოლილს... დადგა ელული,
იერუსალიმს შეექარვება
რით ზმანებები ბედისწერული!
ბოლო სხივები ნისლის ღვინობაც
ზღვას შემყურეებს მზემ რა მოგვასო,
ბინდი აზიდა უკვე გილომაც,
ჩუმმა, ეული და უმოყვასო.
შემდეგ ბინდს, ვამჩნევ, – მწუხრი მომებას,
რას ვნება გვერდზე მიხრის, მიფერდებს
რომანტიულად, როგორც რომემას
რომბებს, როტონდებს და სენტიმენტებს.
ღამეს, რომელიც თითქოს მოტირის,
სიმარტოვენი ბნედენ ამონი,
ტყვე მარტოობის, ტყვე მოლოდინის
და ტყვე სიზმრების სდუმს კატამონი, –
მას, ფერწართმეულს, უფრო ერთმევა
ფერი და თითქოს ხსოვნის მათოვებს
ფოთლებს ეს ღამე, ჯერაც ცხელთმება
ქარი როს ფიქრში ჰყვება მნათობებს.
ო, მწუხარების ყველგან მთოვარი
სულის ყვავილთა შემშლის დარბევა!
ადევს გაშლილი საფლავს რომანი –
საფლავი სევდით შეიქარვება...
იერუსალიმს დარდნი, ვნებანი
რევენ, – ნთებული ძველად – ლილია –
ის ახლა ჩემთვის ნათვითნებარი
კატაფალკი და ბალდახინია, –
როს მთრთოლ დიდებით მასთან – პარიზთან –
თეთრი სიმაღლე, შენ, შუბლს შეიმოს,
მე ველტვი ურჟოლას, ვით წმინდანისდარ
დუმილს, მშობლიურს და საზეიმოს
(უცხო რიალებს ალი – სატინი).
ჩემად ვცნო უნდა ზეცის აქოლვა,
ფარდის დაშვებით დრო ანატირი
მე, ფანტაზმებზე გადანაყოლმა.
და მომეჩვენოს: ცოდვილს ვაგავდე
იმით, რომ მთვარის მკრულავს სკინია,
მთვარის, რომელიც ჩემთვის აქამდე
კატაფალკი და ბალდახინია.

1978

საშობლო ბურანში

ძნელად თუ ვარჩევ წინაპართა ძველ მხარის ოლეთ,
ხსოვნათა მქონეთ... სძინავთ ველის ყვავილთ, ველისავ
მდუმარ ქართ და, ჰგავს, მაქაბელი სდუმს, – აი, სწორედ
დუმილმა შემძრა მაქაბელისამ.

უცებ – გეხვევათ თქვენ ბურანი, ლანდების მყოლეთ,
უმაღლეს დონედ ცათ სიმრუმის მჩენო ღამენო,
გახვეულია რაც ეს ძველი სამშობლო სწორედ
ბურანში – მთელი სამაქაბელო!

ტანს გრძნებით თითქოს იორტანებ, ელვისა მგონედ,
გზად ცრემლის ტბორეთ ვერ აუვლი – ამას ვერ იზამ,
კვალად შეგიპყრო, იორდანევ, რაც სევდამ, – სწორედ
რომ სევდამ მხოლოდ მაქაბელისამ.

მირულებიათ ქარსაცავებს, მთა-გორთა ყორეთ,
მაღლაურ ბროლეთთ... ბნელა, სვეტი ნათლის — რქაფერო
თუ რქამოლურჯო ვაზი – ჰქრება, – ასე სჩანს სწორედ
ეს მინა -- მთელი სამაქაბელო.

სივრცე – გაძრცვილი ჰარილეა... ვერ ვარჩევ შორეთთ
მთვარისა ორეთ... სთვლემს ჰაერი... თვლემას ელის ამ
ღამით თაბორი, გალილეა და... მგონი, სწორედ
თვლემამ შემშალოს მაქაბელისამ.

შემაკრთო ალმა, შერეულმა ცისკიდის ქორედთ,
ნისლი დის მდორედ, რომ შანდლები ვეღარ გაფერო,
დროო, მას უკან ეს მთა-ბარი რაც გმინავს, – სწორედ
რომ ეს მთა-ბარი – სამაქაბელო.

დამეწყო სულის შეგუბება აქ, ლანდნო, ზორეთ
სად თავის მწონედ, სად შრიალით კვნესენ ხენი სამ
ხმაში და სასომ, მეღუპება რაც, შემძრა, – სწორედ
რომ მხოლოდ სასომ მაქაბელისამ.

მირულებიათ ქარსაცავებს, მთა-გორთა ყორეთ,
მაღლაურ ბროლეთთ... ბნელა, სვეტი ნათლის – რქაფერო
თუ რქამოლურჯო ვაზი – ჰქრება, – ასე სჩანს სწორედ
ეს მინა – მთელი სამაქაბელო.

1978

მისმა ღიმილმა...

ამ გზებს, გუშინდელს აქეთ ეფარათ
რას სუდარები, ეჭვით გავყურებ...
მისმა ღიმილმა მომკლა, დღემარად
ერთი შეხედვით მოგაზაფხულემ.

ვერ გადაურჩა ქარებს უჟეჟი
ჩემი მზე, – და მეც მიმაქვს წერილი
და შებინდების მკრთალ სილუშეში
ნიღაბი მისი სდუმს, დახვრელილი.

თვალებს მაგონებს მისას აუზი
ცის... სიცხიანი, ვლანდავ სანიტარ
ვერხვებს ქუჩიდან მაქს ნორდაუსი,
ტბის მსგავსიდან თუ ნამსგავსარიდან.

ზარს რეკენ ვერცხლის ვარსკვლავ-ფოლაქით,
დრო რას მაყვედრის და რას მანანის
ცხელ ვნებათაგან ალშემონაკიდ
ცის ქვეშ, მევარდის და მემანანის.

1975

* * *

დღეა ნისლით ნათარსი, –
მორჩა შორით ნათებებს,
მოჰყვა რაც დეკადანსი
ხილვით აკვიატებებს.

მოსჩანს რაღაც უკმარი
ჩენით მთვარის ბადროზე
იდუმალი შუქფარი
ღრუბლის, მოალბატროსე.

დაცხრა ვნება, დრო რით არ
ცხრება... სულო, იარდე!
შეწყდა ხილვა მორიდალ
ლანდის, მემილიარდე.

შუქს ბაბთა აქვს, მომბანი
ცრემლთა, ყინვით. ნათოში...
გაკრთნენ კატაკომბანი
ყოფილ ელდორადოში.

დრო მიდის და მიროშავს,
თან როგორღაც აგიდის...
ოკეანეს ღვინოშავს
ფარავს ცა მალაქიტის

1976

ვესტალი

ირისეს მომწყდარი ლაჟვარდი თანდათან განიბნა
ჰაერში... მეწამულ შორეთით ადრეა მიმალვა
ცისკიდის, რომელიც გრძნეული გიშრებით დალიბრა
აქ ბოლომ უქარო შუადღის, საკვდავად მღიმარმა.
სიჩუმის სავანის გაცხადდა დღეს ჩემი მკვიდრობა,
მაღალ სულს – ევერესტს – რომელსაც ნაევერესტალი
არაფრით არ ეთქმის, მე კვალად ვეცნობი... ვიდროვე, –
მესახვის ჩვენება – სათნო და კეთილი ვესტალი.
ვიგონებ... განვიცდი... ო, მეოხ მეყავ მე, სახიერ!
ჰაერში სხვა თრთოლვა შეუდგათ დილანდელ ნაბინდარ
ფერადებს, ოდეს ცის კამარა, ყველაფრის მაგიერ,
მიფარავს, ბინადარს ასწლოვან მოგვთან თუ რაბინთან.
ო, ერთად იელვა დღის ბოლოს ასობით შანდალმა,
რით თვალებს არისას განგება სათუთად აელმებს, –
და მე მის ლანდების ტაძარში, უმთავრეს კართანვე
მდგომარე, ვეძლევი ოცნებას, ფიქრივით ნაელვებს.
საყვარლად იდუმალ ტაძართან ვარდების დაკონვა
ნაშუადღევარზე მზის ჯიღამ, რაც დროს არ ბარდება,
დუმილით ასახა, შენმავე – ვესტალის – ნაქონმა
და აღძრავს ზმანებებს ცისკიდე, მეწამულფარდება.
მესახვის: გუმბათზე ზეციურ მანანათ ყაპყია
და ფიქრი მედიუმს ლალისფერ ედემებს უარსებს,
რომელიც, ოდითგან მაღალი და ალაყაფღია,
უკვე ფლობს დაისის დუმილის ედემურ ნქუანსებს
მას შემდეგ, რაც სულის მაღელვებს უდაბნო, ჭყანტობი,
ნეტავი სანამდის მომიწევს უშენოდ გაძლება,
ნეტავი სადა ხარ ასე შორს, ანგელოსთ ნანდობი,
როს ძვირფას საფლავებს მაღლიდან სიწმინდე აცრება?
იქნება რატომღაც ბურუსებს გაენდე, ნაყაპყარ
ნისლსავით მომქრქალოს... ლივლივა შორეთის კოლორი
მომეწამულია, რაც მაღლა ხელები აღაპყარ,
რაც უკვე განქარდნენ შუადღის წამები, ბოლონი.
იცოდი, დროს სევდით, სათუთით, რომ უნდა აღევსე?
არ წყდება დაისის ჯერ კიდევ ფერად სხივთ კადრილი
და ვფიქრობ, სიამეთ მლოდნელი, იმედის ბაღებზე,
სად სდუმან აკლდამის კედლები, ლოდებად დათლილი.
ო, კრთიან ქალნი და ანათებს ფიქალი – რომანი,
ხილვები მიპყრობენ – მხურვალე ლოცვები ტარდება
აქ, სივრცე მეგულვის ჯერ კიდევ სად ვარდთა მთოვარი,
სად ელავს ცისკიდე, ჯერ კიდევ მეწამულფარდება.
მიმომქროლ ანგელოსთ ლეგეონს მივაპყარ თვალ-ყური
უსასრულობაში, რამ უკვე შუადღე აკედლა,
როკავენ ქალები, ღაღადებს ქადაგი მარხული
და ელის სასაწაულს მერანი, ქართაგან ნახედნი.
დღის ლანდი, მდომელი სიჩუმის და სიბრძნის უნასის,
სიამით ბოდავს და ზამბახით მთვრალსავით ბანდალებს;
ვათრთოლებ მდუმარე სიხარულს – მოკვდავის გულაზიზ
ოცნებას და სულის ზეაღმტაც შადრევან-ფანტანებს.
ქარვებს და ფერადებს, რით მიდის კანდელთან კანუნი,
გზნებაში ვენდე და შემიპყრო თრობათა ზღვა ჟინმა,
მბნედს ჯერაც არგასულ საღამოს ნათელი, ქალური,
რიგორც კი ვახსენებ საყვარელ სახელებს, მაშინვე...
ზმანებად სანთლები, ვით მცველნი აქაურ წესთანი,
მესახვის... გზნებაში მეცნობა გენიის დანთება,
თან თბილი, დაღლილი ღიმილით მზირალი ვესტალი
და მთრთოლი საღამოს ცისკიდე, მეწამულფარდება.

1978

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

შიმონ ნიწუაშვილი

ა ბ ა ა ა ბ ა

თორაში და თანახში ბევრ ადგილას არის მოხსენებული ეგვიპტიდან გამოსვლა, ასევე, ყოველ დღესასწაულზე, შაბათს და ყოველ დღე ვიხსენებთ ეგვიპტიდან გამოსვლას „შემაყ ისრაელ“ის ლოცვაში როგორც წერია “ მე ვარ თქვენი ღმე-რთი რომელმაც გამოგიყვანეთ ეგვიპტიდან“ აქედან თორა გვასწავლის თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის ეგვიპტიდან გამოსვლა, ყოველ წელიწადს ბრუნდება და მეორდება ყოველი დღესასწაული ხელახლა , არის ხალხის კატეგორია რომელიც ფესახს აღნიშნავს როგორც ისტორიულ ფაქტს, რომ როდესღაც ათასობით წლის წინ გამჩ-ენმა მოგვივლინა სასწაული ებრაელ ერს, მაგრამ ჩვენი რაბები გვასწავლიან, რომ ყოველ წელს ებრაელები ისევე გამოდიან ეგვიპტიდან, როგორც რამოდენიმე ათასი წლის წინ,მაგრამ ადამიანები მივეჩვიეთ ამ სასწაულებს და აღვიქვამთ, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, მაგალითად პატარა მცენარის განაყოფიერება და გაზრდა , გვგონია რომ ეს ბუნებრივად ხდება და არაფერი ამაში არ არის, განსაკუთრებული, მაგრამ მასშიც ბევრი სასწაულია, წყლის და მიწის მეშვეობით ხომ ამხელა მცენარეები იზრდება. როგორც თორაში ასევე თანახშიც ბევრი სასწაულებზა საუბარი, მაგრამ ჩვენ მათ არა რო არ ავღნიშნავთ არამედ არც გვახსოვს ისინი. გვასწავლიან ჩვენი რაბები, რომ არის სასწაულები ერთჯერადი რომლებსაც მოავლენს გამჩ-ენი და აღარ მეორდება, მაგრამ არის სასწაულები რომლებიც ყოველ წელს მეორდება , ამიტომ დღესასწაული რომელიც მეორდება და ავღნიშნავთ ყოველ წელს ეს იმის ნიშანია, რომ სასწაული მეორდება ყოველ წელს ხელახლა. ასეა ფესახიც, ეგვიპტიდან გამოსვლა ყოველ წელს მეორდება როგორც წერია თორაში: „დაგვიხსნა გამჩ-ენმა ეგვიპტიდან ნისანის თვეში და მომავალში ნისანის თვეში დაგვიხსნის“. ფესახში გვაქვს ბევრი მიცვები შევეცადოთ 2 მათგანი განვიხილოთ, პირველი მიცვა, არის ჰაგადის მაგიდაზე ჩვენ შვილებს ავუხსნათ, მოვუყვეთ, ეგვიპტიდან გამოსვლის შესახებ და ყველა იმ სასწაულების შესახებ რომელიც გამჩ-ენმა მოგვივლინა ამიტომ ვალდებულებაა, რომ ჩვენმა შვილებმაც მოისმინონ ჰაგადა. მეორე, ჩვენ ვკითხულობთ ჰაგადაში ამ წინადადებას “ ვინც არ შეიგრძნობს რომ ამ საღამოს გამოვიდა ეგვიპტიდან არ გამოვიდა ჰაგადის ვალდებულობიდან“, სვავენ კითხვას ჩვენი რაბები, როგორ შეიძლება ეხლა ეგვიპტიდან გამოსვლა როცა უკვე ათასობით წლის წინ გამოვიდნენ ჩვენი მამები ? ხსნიან ჩვენი რაბები, რომ დღევანდელი ეგვიპტიდან გამოსვლა ეს “ იეცერ ჰარაყის “ მონობიდან გამოსვლაა როგორც ეგვიპტეში ვიყავით დამონებულები და არ გვქონდა არც საშვალება და არც დრო გამჩ-ენის სამსახურისთვის ასევე ადამიანი როცა არის იეცერ ჰარაყის მართველობაში ვერ ემსახურება გამჩ-ენს და იმას აკეთებს რაც იეცერ ჰარაყს სურს, ამისთვის არის ფესახი რომ გავჩერდეთ დავფიქრდეთ სად ვიმყოფებით და გავაკეთოთ თეშუბა დავუბრუნდეთ გამჩ-ენის გზას და განვთავისუფლდეთ იეცერ ჰარაყის მონობისგან. გამჩ-ენის წყალობით გავაკეთოთ თეშუბა და დავმადლიანდებით სრულ ხსნას მაშიახის მობრძანებას და ბეთ ჰამიკდაშის აშენებას, ბეშანა ჰაბა ბეიერუშალაიმ ჰაბნუია ამენ. ხაგ სამეახ.

„ისრაელზე თავდასხმების ეპოქა დამთავრდა“

— ისრაელზე თავდასხმების ეპოქა დამთავრდა, დაიწყო სხვა ეპოქა! — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა ვაშინგტონის „ეიპაკის“ ყოველწლიურ კონფერენციაზე აშშ მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში ნიკი ჰეილიმ. ჰეილის ამ განცხადებას კონფერენციის მონაწილენი ტაშით შეხვდნენ.

ნიკი ჰეილი შეეხო ათობით ანტისრაელურ რეზოლუციას, რომელიც ბოლო წლებში მიიღო გაეროს სხვადასხვა სტრუქტურამ.

— დღეს გაეროში ვერავინ ვერ ბედავს მესაუბროს ახალდასახლებების აკრძალვის თაობაზე. ეშინიათ,თუმცა, ასეთი რამ ხდებოდა, ხდებოდა, მაგრამ აღარ მოხდება!

ჰეილამდე „ეიპაკის“ — ებრაული ლობის კონფერენციაზე გამოვიდა აშშ ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი. მან დაადასტურა, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია სერიოზულად განიხილავს აშშ საელჩოს იერუსალიმში გადატანის საკითხს.

27 მარტს „ეიპაკის“ მონაწილეებს — სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ 18 ათას ებრაელს , მიესალმა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჰუ. იერუსალიმიდან ვიდეომიმართვაში მან მადლობა გადაუხადა დონალდ ტრამპს „ახალი დროის დადგომისათვის“

— მჯერა, რომ აშშ და ისრაელი კვლავაც იბრძოლებენ სინათლისათვის — სიბნელის წინააღმდეგ — განაცხადა მან და ტრამპი ისრაელში მიიწვია.

გაეროს ახალი გენერალური მდივნის აღიარება

როგორც ებრაული სატელეგრაფო სააგენტო იუწყება, ნიუ-იორკში გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი გენერალური მდივნისა და მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის რონალდ ლაუდერის შეხვედრა, რომელზეც ახალმა გენმდივანმა გუტიერეშმა დაადასტურა, რომ ორი ათასი წლის წინათ იერუსალიმში არსებობდა ებრაული ტაძარი. ამით მან კიდევ ერთხელ გაიმეორა ადრე ისრაელის რადიოს ეთერში გამოთქმული მოსაზრება.

ამას გარდა, გენერალურმა მდივანმა გუტიერეშმა კონგრესის პრეზიდენტს აღუქვა, რომ ყველაფერს იღონებს გაეროში და მის შვილობილ ორგანიზაციებში ანტიისრაელური ინიციატივების შესაჩერებლად, თუმცა, ისიც აღნიშნა, რომ მას არ ძალუძს ადამიანის უფლებათა საბჭოში შეაჩეროს ანტისრაელური რეზოლუციების მიღება.

მსოფლიოს ებრაელთა კონგრესში ხაზი გაუსვეს გაეროს ახალი გენმდივნის ღვაწლს: ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომისიის საიტიდან ამოღებული იქნა მოხსენება, რომელშიც ისრაელი აპარტეიდულ სახელმწიფოდ გახლდათ მოხსენიებული.

შეხვედრის შემდეგ რონალდ ლაუდერმა განაცხადა:

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალმა, სუფთა ჰაერმა დაუბერა. ამ პროცესს ძალიან დიდხანს ველოდით.

კონგრესის დამფუძნებლები ბჭობენ...

იმ ებრაული თემების წარმომადგენლები, რომლებიც ევრაზიის ებრაელთა კონგრესის დამფუძნებლებად გვევლინებიან, იერუსალიმში შეიკრიბნენ, რათა ემსჯელათ კონგრესის მომავალზე. აქ იყვნენ: ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს თავმჯდომარე, უკრაინის ვაადის თანაპრეზიდენტი იოსებ ზისელსი, რუსეთის ვაადის პრეზიდენტი, ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური მდივანი მიხეილ ჩლენოვი, დიალოგში დისტანციურად ჩაერთო კიდევ ერთი დამფუძნებელი — ყაზახეთის ებრაელთა კონგრესის ვიცე პრეზიდენტი ალექსანდრე ბარონი.

იანვარში ბერლინში კონგრესის ხელმძღვანელთა შეხვედრისას გაირკვა, რომ კონგრესის პრეზიდენტი იულიუს მაინლი და დამფუძნებლები სრულიად განსხვავებულად ხედავენ კონგრესის მისიას და სტრუქტურას. დღიდან პრეზიდენტის არჩევისა — 2014 წელს-ეს განსხვავებულობა თანდათან იზრდება. ამ ბოლო ხანს კი უთანხმოებაში გადაიზარდა და სისტემური ხასიათისა ხდება — კონგრესის ოთხი ფილიალის ოფისი გასული წლის მესამე კვარტლის მერე დაფინანსების გარეშეა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაუფინანსებელია სათემო, საგანმანათლებლო, ახალგაზრდული, სამეცნიერო , საგამომცემლო და სხვა პროექტები, ამის ვალდებულება კი პრეზიდენტად არჩევის წინ იულიუს მაინლმა აიღო.

ისრაელი — ახლო აღმოსავლეთის ყველაზე ჯანსაღი სახელმწიფო

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი მწვავედ განიცდის ექიმებისა და საავადყოფოების უკმარისობას, ჯანმრთელობის მსოფლიო რეიტინგში მე-9 ადგილზე იმყოფება — ეს დაადასტურა ამერიკის Bloomberg-ის სააგენტომ.

ჯანმრთელობის რეიტინგი ყალიბდება სიცოცხლის ხანგრძლივობის, გარდაცვალების გამომწვევი მიზეზების, საშიში რისკების (ჰიპერტონია, სიგარეტი, ცუდი კვება) ახალდაბადებულთა სიცოცხლის შენარჩუნების ერთობლიობით.

ჯანმრთელობაში მთელ მსოფლიოში იტალია ლიდერობს იტალიასა და ისრაელს შორისაა ისლანდია, შვეიცარია, სინგაპური, ავსტრალია, ესპანეთი, იაპონია და შვეცია. ევროპის ბევრი ქვეყანა ისრაელის უკან მოექცა. ასევე ისრაელის შემდეგაა ამერიკის შეერთებული შტატები — იგი 34-ე ადგილზეა.

ზემოთხსენებული სააგენტოს კვლევის თანახმად, ჯანმრთელობის მსოფლიო რეიტინგში ისრაელი ახლო აღმოსავლეთში პირველ ადგილზეა.

ჰიმლერის დეპეშა

ისრაელის ეროვნული ბიბლიოთეკის არქივში აღმოჩნდა ებრაელების საბოლოო განადგურების ცნობილი ფაშისტი იდეოლოგის ჰენრიხ ჰიმლერის მიერ იერუსალიმის მუფტის ამინ ალ ჰუსეინისადმი გაგზავნილი დეპეშა. ბიბლიოთეკის საიტზე აღნიშნულია, რომ დეპეშა გაიგზავნა 1943 წლის 2 ნოემბერს — ბალფურის დეკლარაციის 15 წლისთავზე. ამინ ალ ჰუსეინი ამ დროს იერუსალიმში აღარ იმყოფებოდა. დეპეშაში ნათქვამია: „ გერმანიის ნაციონალ-სოციალიისტური მოძრაობა, რომელმაც ითავა მსოფლიოს ებრაელობის წინააღმდეგ ბრძოლა, ყურადღებით ადევნებს თვალს არაბთა თავისუფლების დცვისათვის გამართულ თქვენს ბრძოლას, განსაკუთრების პალესტინაში ებრაელთა ოკუპაციის წინააღმდეგ. ჩვენი საერთო მტრის არსებობა და მასთან ერთობლივი ბრძოლა გახლავთ ძლიერი ფუნდამენტი გერმანიისა და მუსლიმთა განმათავისუფელი მოძრაობის ურთიერთობისა. მოხარული ვარ, სწორედ ბალფურის დეკლარაციის წლისთავის დღეს, გამოვხატო ყველაზე თბილი გრძნობები და თქვენს ბრძოლაში გისურვოთ წარმატება.“

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას ბრიტანელებმა ჰუსეინი იერუსალიმის მუფტის თანამდებობიდან გადააყენეს. ჰუსეინი იერუსალიმიდან გაიქცა და ჯერ ბეირუთიდან, შემდეგ კი დამასკოდან ხელმძღვანელობდა მუსლიმთა აჯანყებას. მერე ერაყში მონაწილეობა მიიღო ანტიბრიტანულ, პროგერმანულ გადატრიალებაში, გადატრიალების ჩახშობის შემდეგ, ცხოვრობდა იტალიაში, შემდეგ გერმანიაში. აქ იგი ხელფასსაც კი ღებულობდა. 1941 წლის 28 ნოემბერს ჰიტლერს შეხვდა და ფიურერს „მუსლიმთა დამცველი“ უწოდა.

„ხარედიმთა“ ანტისიონისტური დემონსტრაცია იერუსალიმში

მარტის ბოლო სამშაბათს იერუსალიმში გაიმართა იერუსალიმელ ორთოდოქსთა ანტისიონისტური ფრთის მრავალათასიანი დემონსტრაცია. „ხარედიმები“ აპროტესტებდნენ იეშიბების (რელიგიური სასწავლებელი) ყმაწვილთა მიერ ჯარში გაწვევის უწყების არადაგდების და გასაწვევ პუნქტებში გამოუცხადებლობის გამო მათს დაპატიმრებას. დემონსტრაციის მონაწილეები ისრაელის სხვადასხვა ქალაქებიდან ავტობუსებით ჩამოიყვანეს.დემონსტარციას, რომელზეც გამოვიდა „ხარედიმთა“ თემის ხელმძღვანელი რაბინი ოიერბახი, წინ უძღოდა ქუჩების გადაკეტვა. „ხარედიმები“ „პიკის“ საათებში აფერხებდნენ მოძრაობას ცენტრალურ ტრასებზე, ცდილობდნენ ჩაეშალათ იერუსალიმის მარათონი. ცეცხლს უკიდებდნენ ნაგვის ბუნკერებს, პოლიციელებთან ხელჩართულ ჩხუბშიც ერთვებოდნენ. დემონსტრაციის მონაწილეებმა თავთავიანთ ლიდერებს მისცეს წერილობითი ნებართვა მათი სახელით ჰააგის სასამართლოში აღძრან საქმე ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც მათ ავალდებულებს იმსახურონ „გამანადგურებელ არმიაში“

— ჩვენ გავუძელით ფარაონებს, გავუძელით ინკვიზიციას, გავუძელით ჰიტლერს, გაგიძლებთ თქვენც!“—აცხადებდა მიტინგის წამყვანი.

ებრაელობა და ნაპოლეონ ბონაპარტე

ნაპოლეონ ბონაპარტე არც კორსიკაში გატარებული ბავშვობისას შეხვედრია ებრაელობას და არც — ყმაწვილკაცობისას. პირველად ებრაელები ქალაქ ანკონაში დაინახა — იტალიის სამხედრო კომპანიისას.

1797 წელს გამარჯვებული ნაპოლეონი თავის არმიასთან ერთად ამ ქალაქში რომ შევიდა, ხალხი მისასალმებლად ქუჩებში გამოეფინა. გამხიარულებულ დამხვდურთა შორის მან შენიშნა ადამიანები ყვითელი ქუდითა და ყვითელივე სამკლავურებით, რომელზეც დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი გახლდათ გამოხატული. ნაპოლეონმა ერთ-ერთ ოფიცერს ჰკითხა, თუ ვინ იყვნენ ეს ადამიანები და მათი ასეთი მორთულობა რას ნიშნავსო. ოფიცერმა მიუგო, ესენი იუდეველები არიან, ყვითელი ქუდი, სამკლავური და დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავი გამოსაცნობი ნიშანია: ისინი ვალდებულნი არიან ჩაკეტილ სივრცეში — გეტოში იცხოვრონ: თუ მზის ჩასვლისთანავე გეტოში არ შებრუნდებიან, იოლად რომ ამოიცნონ და დასაჯონო.

ნაპოლეონმა განკარგულება გასცა ებრაელებს ყვითელი სამკლავურები მოეხსნათ და ქუდებიც ჩვეულებრივი დაეხურათ — ისეთი, როგორიც ყველას ეხურა, ხოლო რაც შეეხება გეტოს, მისი ჭიშკარი დაუყონებლივ გახსნა, ბრძანა, ებრაელებმა იქ იცხოვრონ, სადაც მოესურვებათ და თავიანთი წეს-კანონები, ტრადიცია დაუფარავად, შეუჭირვებლად აღასრულონო.

კიდევ ერთი ნაკლებად ცნობილი ფაქტი ნაპოლეონის ებრაელებთან მიმართებისა: 1798 წელს, როცა ფრანგები ეგვიპტის დასაპყრობად მიემართებოდნენ, ნაპოლეონმა მალტა აიღო. აქ ბონაპარტემ შეიტყო, რომ მალტელი რაინდები ებრაელებს სდევნიდნენ — უკრძალავდნენ ეროვნული, რელიგიური ტრადიციების დაცვას, მონებად ჰყიდდნენ თურქებზე და სხვ. ნაპოლეონმა დაუყონებლივ გასცა სინაგოგების კვლავაც გახსნის ბრძანება — აღადგინა ებრაელების სამოქალაქო უფლებები.

მაგრამ ნაპოლეონის ვერცერთი თანადგომა ებრაელებისადმი და მათს შორის ვერც ანკონისა და ვერც — მალტის მაგალითი, ვერ შეედრება მის ერთ განკარგულებას, რომელიც 1799 წლის 20 აპრილს ისრაელის ქალაქ აქქოს ალყის დღეებში გამოსცა — ბალფურის დეკლარაციამდე 118 და ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე 149 წლის წინათ, მან გამოაცხადა პალესტინაში ისრაელის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა. დეკლარაციაში ბონაპარტე — აზიასა და აფრიკაში საფრანგეთის არმიის მთავარსარდალი — აცხადებს: ,, ისრაელიანნო, პალესტინის კანონიერო მემკვიდრენო, აღსდექით დევნილნო, დიადი ერი (ფრანგები. ავტ), რომელიც არ ვაჭრობს ერებითა და სახელმწიფოებით, ისე როგორც ისინი, ვინც თქვენ ელინებს მიგყიდათ იმისათვის, რომ სამშობლოდან გაეძევებინეთ, მოგიწოდებთ კი არ დაიპყროთ, დაიბრუნოთ თქვენი წართმეული ქვეყანა. საფრანგეთის დახმარებითა და თანადგომით თქვენ სამარადისოდ დარჩებით თქვენივ მამულის ბატონ-პატრონად და დაიცავთ მას უცხოელთა თავდასხმებისაგან.“



ნაპოლეონი დარწმუნებული იყო, რომ აქქოს აღების შემდეგ, იერუსალიმში შევიდოდა და სწორედ ამ ქალაქიდან აუწყებდა ებრაელებს, მთელ მსოფლიოს ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის თაობაზე, მაგრამ ამ წამოწყებას აღსრულება არ ეწერა — ინგლისელების ფლოტის ჩარევის შედეგად, აქქო დაეცა, ბონაპარტე კი იძულებული გახდა ეგვიპტეში დაბრუნებულიყო და თავის განზრახვაზე უარის თქმა მოუწია.

იბადება კითხვა: რამ განაპირობა ის, რომ ნაპოლეონ ბონაპარტე ასე კატეგორიულად იცავდა ამ ყველასაგან დევნილ ხალხს? ამგვარი და თანაც წარუმატებელი, განზრახვა მას ხომ არც პოლიტიკურ, მითუმეტეს, არც — სამხედრო წარმატებას არ უქადდა. პირიქით კი იყო — ამგვარი წამოწყება მის ერთობ მზარდ პოპულარობას ვნებდა და მისი მტრების, მოწინააღმდეგეების წისქვილზე ასხამდა წყალს.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ნაპოლეონი კორსიკელი იყო. ჭეშმარიტად კორსიკელი კაცი კი სიკვდილამდე არ ივიწყებს მისადმი გამოჩენილ მტრობასა, თუ მეგობრობას. ნაპოლეონიც ასეთი იყო. არ არის გამორიცხული, რომ ნაპოლეონ ბონაპარტეს მეხსიერების სიღრმეში შემონახულიყო მისი ცხოვრების ერთი ასეთი ფაქტი: ნაპოლეონს რთული ურთიერთობა ჰქონდა კორსიკის განმათავისუფლებელ პასკალ პაოლოსთან — ხან მეგობრობდნენ ერთმანეთს, ხანაც — მტრობდნენ, და აი, ერთხელ, როცა პასკალ პაოლო სასიკვდილოდ გამეტებულ ნაპოლეონს მოსდევდა, საფრანგეთის მომავალი იმპერატორი ქალაქ აიაჩიოს მერმა ჟან ჟერომ ლევიმ შეიფარა — ფაქტიურად სიკვდილს გადაარჩინა.

არანაკლებ საინტერესოა ნაპოლეონისა და მისი პირადი ექიმის ბარრი ო მირის საუბარი. ეს დიალოგი 1816 წლის 10 ნოემბერს წმინდა ელენეს კუნძულზე გადასახლებულ, უკვე ავადმყოფ ნაპოლეონსა და მის პირად ექიმს შორის გაიმართა. როცა ბარრი ო მირმა ავადმყოფ ნაპოლეონს ჰკითხა, თუ რით იყო განპირობებული ნაპოლეონის ასეთი მხარდაჭერა ებრაელობისადმი, გადასახლებულმა იმპერატორმა მიუგო:

— ყოველთვის მეწადა ებრაელები ჩემი იმპერიის სრულუფლებიან ქვეშედრომებად მეხილა, ისეთად როგორიც არიან იმპერიაში შემავალი სხვა ერები. მე მინდა, ებრაელებს ექცეოდნენ, როგორც ძმებს, ეს არც საფრანგეთს აწყენდა — ევროპის ებრაელების დიდი ნაწილი საფრანგეთში გადმოსახლდებოდა. აქ მათ თავისუფლება, ძმობა, ერთობა ელოდათ.

საფრანგეთში ავსტრიის კონსული მეტერნიხ-ვინებურგი თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში ვენას სწერდა: ,, საფრანგეთში სულ რაღაც ორმოცი ათასი ებრაელია, ამათგან პარიზში ათასი ებრაელი ცხოვრობს. ყოველი მათგანი, უკლებლივ, ნაპოლეონს თავიანთ მესიად მიიჩნევს“.

აუსტერლიცთან დიდი გამარჯვების შემდეგ, ნაპოლეონი იბრძოდა ებრაელების სამოქალაქო უფლებებისათვის, თუმცა, საფრანგეთის ანტისემიტური წრეების, რომის პაპისა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრეს მხრიდან დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ეს უკანასკნელი კი ებრაელობის დევნით გამოიჩეოდა. ისეთი მდგომარეობა იქმნებოდა, რომ ნაპოლეონის მცდელობას სრულიად საწინააღმდეგო შედეგი მოჰქონდა — გაძლიერდა ანტისემიტიზმი, მაგრამ ნაპოლეონის მოდრეკა არც ისე იოლი გახლდათ.

— ებრაელთა საკითხი ასე ვერ გადაწყდება — ამბობდა ნაპოლეონი — მე არასოდეს არ გავატარებ ისეთ ღონისძიებას, რომელიც ებრაელებს აიძულებთ საფრანგეთის დატოვებას, ეს იმიტომ რომ ჩემთვის ებრაელი საფრანგეთის ისეთივე მოქალაქეა, როგორც სხვები. საფრანგეთიდან ებრაელთა განდევნა ჩვენი სისუსტის დადასტურება იქნებოდა, აი, მათს საფრანგეთის საზოგადოებრიობასთან ინტეგრაციას კი ძალა ჭირდება.

აქქოში ლაშქრობისას ნაპოლეონის გეგმა (ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენა) როგორც ითქვა, ინგლისელებმა ჩაშალეს. ნაპოლეონმა ეს გეგმა სხვა არანაკლებ გრანდიოზული წამოწყებით ჩაანაცვლა — გადაწყვიტა აღედგინა სინოდრიონი — ებრაული რელიგიური კანონმდებლობის უმაღლესი ორგანო. სინედრიონი რომაელებმა იუდეის საბოლოო დაპყრობის შემდეგ, ახალი წელთაღრიცხვის 73 წელს გააუქმეს.

სინედრიონის პირველი სესია 1807 წლის 9 თებერვალს პარიზში გაიხსნა და ზუსტად ერთ თვეს გრძელდებოდა. ნაპოლეონის ამ ახალ წამოწყებას რუსეთის მეფე ალექსანდრე ამხედრებული შეხვდა — საფრანგეთის იმპერატორს სასტიკად აკრიტიკებდა: ,,ანტიქრისტე და ღვთის მოძულეაო“ გაიძახოდა. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია სულ რაღაც ექვს თვეში ამ ,,ანტიქრისტესთან“ პილზენში საზავო შე თანხმებაზე მოეწერა ხელი და ხვევნა-კოცნით, მარადიული მეგობრობის დაპირებით დამშვიდობებოდა. ეს ,,მარადიული მეგობრობა“ სულ რაღაც ხუთი წელი გრძელდებოდა. ხუთ წელიწადში კი სწორედ ალექსანდრეს წინგაუხედაობით იქნა პროვოცირებული საფრანგეთის რუსეთზე თავდასხმა.

პალესტინაში ისრაელის სახელმწიფოებრიობის, სინედრიონის აღორძინება, ნაპოლეონის ოცნებად დარჩა. კიდევ საუკუნენახევარი უნდა გავიდეს, რომ ნაპოლეონის სურვილი რეალობად იქცეს.

არკადი ლადიჟინსკი



ანგელა მერკელი — ელი ვიზელის პრემიის ლაურეატი

ვაშინგტონის ჰოლოკოსტის მუზეუმმა თავისი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯილდო — ელი ვიზელის სახელობის პრემია გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს მიანიჭა. მერკელს ეს პრემია მიენიჭა იმ საგანმანათლებლო მუშაობისათვის, რომელსაც ჰოლოკოსტზე ინფორმაციის გავრცელების საქმეში ეწეოდა და ეწევა.

ვაშინგტონის ჰოლოკოსტის მუზეუმის ხელმძღვანელთა საბჭოს მეთაურმა ტომ ბერშტეინმა განაცხადა:

— კანცლერმა მერკელმა გამოაჩინა ურყევი ნება და თანადგომა გერმანიისათვის ჰოლოკოსტის ხსოვნის პრიორიტეტულად ქცევის საქმეში. ჩვენი მუზეუმი სისტემატურად თანამშრომლობს გერმანიის მთავრობასა და შესაბამის ინსტიტუტებთან, მერკელის კანცლერობის წლებში, ეს თანამშრომლობა გაღრმავდა და ნაყოფიერი გახდა.

მერკელის დაჯილდოების ცერემონია გაიმართება 24 აპრილს ჰოლოკოსტის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ვახშამზე. ებრაული სატელეგრაფო სააგენტო იუწყება, რომ უკვე ცნობილია: ანგელა მერკელი ამ ვახშამს ვერ დაესწრება, პრემიის გადაცემის ცერემონიალი ვიდეო რეჟიმში გაიმართება.

გამოკითხვა: ისრაელელებს სიძვირე უფრო აწუხებთ, ვიდრე უსაფრთხოება

მიუხედავად ისრაელის ჩრდილოეთით და სამხრეთით არსებული დაძაბული სიტუაციისა, ისრაელელებს გაძვირებული ცხოვრება უფრო აწუხებთ, ვიდრე ქვეყნის უსაფრთხოება. იმ გამოკითხვის მიხედვით, რომელიც მეერ დაგანის კონფერენციის მონაწილებს წარუდგინეს, გამოკითხულთა 69 % უმთავრესად ცხოვრების სიძვირე დაასახელა, ხოლო უსაფრთხოების თაობაზე განაცხადა, რომ შეშფოთებულია.

გამოკითხვამ ისიც აჩვენა, რომ გამოკითხულთა 58% სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერებისა არ სჯერა — ახალი შეიარაღებული კონფლიქტისას ისინი ქვეყანას ვერ გაუძღვებიანო.

გამოკითხულთა დიდი უმეტესობა (85%) ირანთან გაფორმებულ „ატომის ხელშეკრულებას“ (იგულისხმება შარშან ბარაქ ობამას ხელისუფლების მიერ ირანთან გაფორმებული შეთანხმება) ისრაელისთვის საშიშად მიიჩნევს.

ისრაელში კვლავაც დიდი პოპულარობით სარგებლობს დონალდ ტრამპი. მას ნდობას უცხადებს 68%.

გამოკითხვაში ისრაელის 500 მოქალაქე მონაწილეობდა.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003